სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/68

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2025

ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №60 გ-ში მდებარე სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხის განკარგვის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 დეკემბრის №01-05-04/198 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2025 წლის 23 დეკემბრის №01-06-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს აკადემიური საბჭოს დადგენილება - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის №445 განკარგულების საფუძველზე, (იხ. დანართი) ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №60გ-ში მდებარე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე არსებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული 9 837 000 (ცხრა მილიონ რვაას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის უნივერსიტეტის განვითარებისა და სხვა საჭიროებების დაფინანსების მიზნით გამოყენების თაობაზე;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი ზაზა სოფრომაძე